

სს კავკაზ ცემენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
6. ძირითადი საშუალებები	17
7. არამატერიალური აქტივები	18
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	18
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
11. კაპიტალი	20
12. მიღებული სესხები	20
13. გადასახადები	21
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
15. ამონაგები რეალიზაციიდან	21
16. რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	21
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	22
18. ფინანსური ხარჯი	22
19. საკურსო (ზარალი)/მოგება	22
20. წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	22
21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	23
22. პირობითი ვალდებულებები	24
23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	24

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	26
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	27
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	28
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	28
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	28
6. წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	28
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “კავკაზ ცემენტის” მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს “კავკაზ ცემენტის” და მისი შვილობილი კომპანიის (ერთად ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით გაზიარებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთის სიზუსტეზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემთხვევაში 2,454, 6,261 და 6,964 ათას ლარს. ხოლო სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემთხვევაში 9,716, 6,062 და 5,286 ათას ლარს. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვარს, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 586, 3,195 და 2,870 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჯგუფს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს მანქანა-დანადგარები საბალანსო ღირებულებით 2,500 ათასი ლარი (2023– 4,550 ათასი ლარი). ამ აქტივებზე დიდი ხნის განმავლობაში არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია და დანომვრა. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ამ ძირითადი საშუალებების არსებობაში, რადგან არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივის მიკვლევადობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესადარის პერიოდში წარდგენილ თანხებზე.

ჩვენ არ დავსწრებივართ სალაროს ნაშთის ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ფულადი სახსრების არსებობაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024

და 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 387 და 1,159 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჯგუფს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს სხვა ხარჯი, როგორც რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულების ხარჯის ნაწილი ღირებულებით 531 ათასი ლარი. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აღნიშნული ხარჯის სისწორის დასადასტურებლად. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2024 წელს წარდგენილ თანხებზე.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაზე, სადაც განმარტებულია, რომ 2024 წლის იანვარში ჯგუფმა გაასხვისა თავისი შვილობილი შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფი“. აღნიშნული შვილობილი კომპანია წარმოადგენდა ჯგუფის მნიშვნელოვან კომპონენტს. გარდა ამისა, როგორც აღნიშნულ შენიშვნაშია გამჟღავნებული, ჯგუფს 2024 წლის შედეგებით მიღებული აქვს 6,140 ათასი ლარის ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს დაგროვილი ზარალი 31,905 ათასი ლარის ოდენობით.

როგორც მე-5 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 25-29 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან,

თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუვითითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

18 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

18 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

სს “კავკაზ ცემენტი”

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	5,449	22,614	22,814
არამატერიალური აქტივები	7	1,194	295	320
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,643	22,909	23,134
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	586	3,195	2,870
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	9,716	6,062	5,286
გაცემული სესხები		-	4	32
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	2,618	9,451	3,124
სულ მიმდინარე აქტივები		12,920	18,712	11,312
სულ აქტივები		19,563	41,621	34,446
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	11	32,497	32,497	32,497
საემისიო კაპიტალი	11	184	184	184
კაპიტალში კონტრიბუცია	11	7,571	8,708	8,708
დაუფარავი ზარალი	11	(31,905)	(44,465)	(49,541)
სულ კაპიტალი		8,347	(3,076)	(8,152)
არამაკონტროლებელი წილი	11	-	13,469	8,575
სულ კაპიტალი		8,347	10,393	423
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	8,418	23,599	23,423
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,418	23,599	23,423
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	13	341	1,362	1,757
მოკლევადიანი სესხები	12	3	6	136
გადასახდელი დივიდენდები		-	-	1,743
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,454	6,261	6,964
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,798	7,629	10,600
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,563	41,621	34,446

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 18 ნოემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი
დირექტორი

ზვიად სულავა
ფინანსური დირექტორი


სს "კავკაზ ცემენტი"


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	5,449	22,614	22,814
არამატერიალური აქტივები	7	1,194	295	320
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,643	22,909	23,134
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	586	3,195	2,870
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	9,716	6,062	5,286
გაცემული სესხები		-	4	32
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	2,618	9,451	3,124
სულ მიმდინარე აქტივები		12,920	18,712	11,312
სულ აქტივები		19,563	41,621	34,446
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	11	32,497	32,497	32,497
საემისიო კაპიტალი	11	184	184	184
კაპიტალში კონტრიბუცია	11	7,571	8,708	8,708
დაუფარავი ზარალი	11	(31,905)	(44,465)	(49,541)
სულ კაპიტალი		8,347	(3,076)	(8,152)
არამაკონტროლებელი წილი	11	-	13,469	8,575
სულ კაპიტალი		8,347	10,393	423
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	8,418	23,599	23,423
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,418	23,599	23,423
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	13	341	1,362	1,757
მოკლევადიანი სესხები	12	3	6	136
გადასახდელი დივიდენდები		-	-	1,743
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,454	6,261	6,964
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,798	7,629	10,600
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,563	41,621	34,446

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 18 ნოემბერს:


ანდრო ბიბილაშვილი
დირექტორი


ზვიად სულავა
ფინანსური დირექტორი

სს “კავკაზ ცემენტი”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	15	8,659	89,711
რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	16	(8,341)	(72,462)
საერთო მოგება		318	17,249
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(5,669)	(5,737)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)		245	(61)
საოპერაციო მოგება		(5,106)	11,451
ფინანსური შემოსავალი		75	208
ფინანსური ხარჯი	18	(1,126)	(1,514)
საკურსო (ზარალი)/მოგება	19	17	11
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(6,140)	10,156
მოგების გადასახადი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		(6,140)	10,156
წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	20	18,700	-
წლის სრული შემოსავალი		12,560	10,156
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი		-	-
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		12,560	5,076
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		-	5,080
წლის სრული შემოსავალი		12,560	10,156

სს “კავკაზ ცემენტი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	კონტრიბუცია კაპიტალში	დაუფარავი ზარალი	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)	32,497	184	8,708	(49,541)	(8,152)	8,575	423
მიმდინარე წლის მოგება	-	-	-	5,076	5,076	5,080	10,156
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:							
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	(186)	(186)
31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	32,497	184	8,708	(44,465)	(3,076)	13,469	10,393
მიმდინარე წლის მოგება	-	-	-	12,560	12,560	-	12,560
არამაკონტროლებელი წილის გასვლა შვილობილის გაყიდვის შედეგად	-	-	-	-	-	(13,469)	(13,469)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:							
შელავათიანი სესხის დაფარვა (შენიშვნა 12)	-	-	(1,137)	-	(1,137)	-	(1,137)
31 დეკემბერი 2024	32,497	184	7,571	(31,905)	8,347	-	8,347

5-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს “კავკაზ ცემენტი”

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
(ზრალი)/მოგება დაბეგვრამდე	(6,140)	10,156
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	784	2,196
ფინანსური ხარჯი	1,126	1,514
საპროცენტო შემოსავალი	(75)	(208)
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	4
მარაგების გაუფასურების რეზერვის ზრდა	-	127
უიმედო და საეჭვო ვალების ხარჯი	53	179
საკურსო ზარალი/(მოგება)	(17)	(11)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) ფულადი სახსრები სამუშაო	(4,269)	13,957
კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(134)	(452)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(1,168)	(977)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(2,236)	(678)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(744)	(395)
ცვლილებები დივიდენდის ვალდებულებებში	-	(1,743)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(8,551)	9,712
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	(100)	(579)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(8,651)	9,133
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაზე		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(3,527)	(1,814)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	91
შვილობილი კომპანიის გასხვისება	23,788	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(956)	(251)
გაცემული სესხების დაფარვა	-	28
საინვესტიციო აქტივებიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი ნაკადები	19,305	(1,946)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
დაფარული სესხი	(17,633)	(855)
გადახდილი დივიდენდი	-	(186)
მიღებული პროცენტი	75	208
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(17,558)	(833)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა	(6,904)	6,354
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	9,451	3,124
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	71	(27)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,618	9,451

5-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს „კავკაზ ცემენტი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს „კავკაზ ცემენტი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2005 წლის ივნისში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205253928.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ბეტონის წარმოება და რეალიზაცია, რომელსაც ახორციელებს ქობულეთში, ხაშურსა და ოზურგეთში განთავსებულ ქარხნებში. ჯგუფი ასევე ფლობს ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზიას და ახორციელებს მათ მოპოვებას ხაშურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში.

მშობელი საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არსებული ინვესტიციების მართვა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, კეკელიძის ქ., 13 კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, თბილისი, ელევთერ ანდრონიკაშვილის 29.

კომპანიის აქციონერები მშობელი კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ანგარიშგების თარიღისთვის, იყო შემდეგი:

აქციონერები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
შპს "ანოდინ ჰოლდინგ ელ.ელ.სი."	77.51%	77.51%	87.07%
ბიბილეიშვილი ანდრო	12.50%	12.50%	0.39%
როდზიანკო პოლ	6.65%	6.65%	1.56%
ხუნწარია ირაკლი	3.34%	3.34%	3.34%
დენის კარლ პრაისი	0.0015%	0.0015%	0.0015%
სს კავკაზ ცემენტი (სახაზინო აქციები)	-	-	6.66%
ტაბატაძე ნიკა	-	-	0.49%
ტაბატაძე სოფიო	-	-	0.49%
სულ	100.00%	100.00%	100.00%

სს „კავკაზ ცემენტის“ საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის იან ჰეიგი (78%).

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2024	2023
შპს ჯორჯიან ბილდინგ გროუფ*	ცემენტისა და ბეტონის წარმოება/რეალიზაცია	-	60%
შპს კავკაზ ცემენტი ჯორჯია	ბეტონის წარმოება და ინერტული მასალების ამოღება/რეალიზაცია	100%	100%
შპს სურამის ქვიშა	უმოქმედო	100%	100%
შპს თბილცემენტი	უმოქმედო	61.8%	61.8%

მშობელ კომპანიას ასევე აქვს 16.74%-იანი წილი შპს კავკაზ ცემენტი ვესტ-ში რომელიც არის უმოქმედო კომპანია. 2024 წლის იანვარში ჯგუფმა გაყიდა 60%-იანი წილი შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფში“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ცემენტისა და ბეტონის წარმოება, ასევე ინერტული მასალების მოპოვება, რომლებიც გამოიყენებოდა ბეტონისა და ცემენტის წარმოებაში.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2024 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალისტური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებული ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის და მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები პრეზენტაციის მიზნებისთვის რეკლასიფიცირებულია ამავე პერიოდის შესადარის მუხლებში. მენეჯმენტი თვლის, რომ ამგვარად წარმოდგენილი ინფორმაცია საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, უკეთ ასახავს პერიოდის განმავლობაში გაწეულ ხარჯებს, ამ რეკლასიფიკაციებს გავლენა არ მოუხდენია 2023 წლის საბოლოო შედეგებზე.

- ავტო ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯი 1,035 ლარის ოდენობით და სხვა ხარჯი 4 ლარის ოდენობით რეკლასიფიცირებულია რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯიდან საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯზე.
- სხვა ხარჯი 356 ლარის ოდენობით რეკლასიფიცირებულია სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)-დან რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულებაზე.
- გაყიდული საქონლის ტრანსპორტირება 4,463 ლარის ოდენობის, თანამშრომელთა სარგებელი 1,900 ლარის ოდენობით, საწვავის ხარჯი 1,100 ლარის ოდენობით, ცვეთა და ამორტიზაცია 490 ლარის ოდენობით, რეკლამის ხარჯი 53 ლარის ოდენობით, იჯარის ხარჯი 4 ლარის ოდენობით და სხვა ხარჯი 151 ლარის ოდენობით რეკლასიფიცირებულია რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯიდან რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულებაზე.

წინა პერიოდის კორექტირება

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩნდა, რომ გასულ წლებში მიღებული სესხის დისკონტირების ცხრილში არასწორად იყო მითითებული ძირითადი თანხა საწყისი აღიარებისას. გადაანგარიშების შედეგად მიღებულ სესხზე ცვლილების ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,366 ლარს (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 4,182 ლარი), 2023 წლის საპროცენტო ხარჯზე 204 ლარს, ხოლო საკურსო მოგება/(ზარალის) მუხლზე 20 ლარს.

2023 წლის 1 იანვრის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

	1 იანვარი 2023	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	22,814	-	-	22,814
არამატერიალური აქტივები	320	-	-	320
სულ გრძელვადიანი აქტივები	23,134	-	-	23,134
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,870	-	-	2,870
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,286	-	-	5,286
გაცემული სესხები	32	-	-	32
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,124	-	-	3,124
სულ მიმდინარე აქტივები	11,312	-	-	11,312
სულ აქტივები	34,446	-	-	34,446
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	32,497	-	-	32,497
საემისიო კაპიტალი	184	-	-	184
კაპიტალში კონტრიბუცია	5,077	3,631	-	8,708
დაუფარავი ზარალი	(50,092)	551	-	(49,541)
სულ მფლობელის კაპიტალი	(12,334)	4,182	-	(8,152)
არამაკონტროლებელი წილი	8,575	-	-	8,575
სულ კაპიტალი	(3,759)	4,182	-	423
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	27,605	-	(4,182)	23,423
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	27,605	-	(4,182)	23,423
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	1,757	-	-	1,757
მოკლევადიანი სესხები	136	(4,182)	4,182	136
გადასახდელი დივიდენდები	1,743	-	-	1,743
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,964	-	-	6,964
სულ მიმდინარე ვალდებულებები	10,600	(4,182)	4,182	10,600
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	34,446	-	-	34,446

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბერის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2023	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	22,614	-	-	22,614
არამატერიალური აქტივები	295	-	-	295
სულ გრძელვადიანი აქტივები	22,909	-	-	22,909
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3,195	-	-	3,195
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,062	-	-	6,062
გაცემული სესხები	4	-	-	4
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,451	-	-	9,451
სულ მიმდინარე აქტივები	18,712	-	-	18,712
სულ აქტივები	41,621	-	-	41,621
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	32,497	-	-	32,497
საემისიო კაპიტალი	184	-	-	184
კაპიტალში კონტრიბუცია	5,077	3,631	-	8,708
დაუფარავი ზარალი	(45,200)	735	-	(44,465)
სულ მფლობელის კაპიტალი	(7,442)	4,366	-	(3,076)
არამაკონტროლებელი წილი	13,469	-	-	13,469
სულ კაპიტალი	6,027	4,366	-	10,393
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	27,965	-	(4,366)	23,599
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	27,965	-	(4,366)	23,599
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	1,362	-	-	1,362
მოკლევადიანი სესხები	6	(4,366)	4,366	6
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,261	-	-	6,261
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7,629	(4,366)	4,366	7,629
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	41,621	-	-	41,621

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

2023 წლის შედეგებზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2023	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან რეალიზებული	89,711	-	-	89,711
პროდუქციის და გაწეული მომსახურების	(63,945)	-	(8,517)	(72,462)
თვითღირებულება				
საერთო მოგება	25,766	-	(8,517)	17,249
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(4,698)	-	(1,039)	(5,737)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	(9,200)	-	9,200	-
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)	(417)	-	356	(61)
საოპერაციო მოგება	11,451	-	-	11,451
ფინანსური შემოსავალი	208	-	-	208
ფინანსური ხარჯი	(1,718)	204	-	(1,514)
საკურსო მოგება/(ზარალი)	31	(20)	-	11
მოგება დაბეგვრამდე	9,972	184	-	10,156
მოგების გადასახადი	-	-	-	-
წლის მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	9,972	184	-	10,156
წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	9,972	184	-	10,156
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული				
სათაო საწარმოს	4,892	184	-	5,076
მესაკუთრეებზე				
არამაკონტროლებელი	5,080	-	-	5,080
წილის მფლობელებზე				
წლის სრული შემოსავალი	9,972	184	-	10,156

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753
1 იანვარი 2023	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალეზზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულ ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	4 - 20
მანქანა-ანადგარები	5 - 20
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 17
სხვა	2 - 20

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ამორტიზაცია ლიცენზიებზე გამოითვლება წარმოებული ერთეულის მეთოდით. ჯგუფი ფლობს ლიცენზიებს რომლის ამორტიზაციის განაკვეთი განისაზღვრება მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის მიხედვით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	5-10 წელი
ლიცენზია	წარმოებული ერთეულის რაოდენობით

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ,

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკუთრო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგებაზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია სააქციო კაპიტალად. გამოშვებული და შევსებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს მომხმარებლისთვის ბეტონის და სხვა ინერტული მასალების რეალიზაციით, რომელიც აღიარდება მაშინ, როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები. ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. საწარმო ანარიცხს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

(ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;

(ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

(გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (iii) ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმო ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.**

ჯგუფის უნარზე განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- 2024 წლის იანვარში ჯგუფმა გაასხვისა თავისი შვილობილი შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფი“, რომელიც წარმოადგენდა ჯგუფის მნიშვნელოვან კომპონენტს. აღნიშნული შვილობილი წარმოადგენდა ჯგუფის მოგების გენერირების მთავარ წყაროს. ხოლო ძირითადი ოპერაციული საქმიანობები, მათ შორის ცემენტის წარმოება, ბეტონის წარმოება და ინერტული მასალების მოპოვება, განხორციელებული იყო უშუალოდ ამ კომპანიის მიერ
- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია დაგროვილი ზარალი 31,905 ათასი ლარის ოდენობით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- 2024 წელს ჯგუფმა განგრძობითი ოპერაციებიდან დააფიქსირა უარყოფითი შედეგი.

მენეჯმენტმა ჯგუფის ფუნქციონირებადობის შეფასებისას გაითვალისწინა როგორც უარყოფითი ფაქტორები, ასევე არსებული შესაძლებლობები და რესურსები:

- 2024 წელს ჯგუფმა მოიპოვა ახალი ლიცენზიები ინერტული მასალების მოპოვებაზე და ბეტონის წარმოებას აგრძელებს მეორე შვილობილი კომპანიის შპს „კავკაზ ცემენტი ჯორჯიას“ მეშვეობით;
- ჯგუფის მნიშვნელოვანი კომპონენტის რეალიზების შემდეგაც, ჯგუფს კვლავ გააჩნია აქტივები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია შემოსავლების გენერირება, ჯგუფმა შეიძინა ახალი დანადგარები ბეტონის წარმოებისთვის, რაც განაპირობებს ოპერაციების გაგრძელების ტექნიკურ შესაძლებლობას;
- მენეჯმენტი გეგმავს ხარჯების ოპტიმიზაციას და ოპერაციული ეფექტიანობის გაზრდას, რაც ხელს შეუწყობს მოგებიანობის გაუმჯობესებას მომდევნო პერიოდებში;
- ჯგუფმა აქციონერისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, სადაც გამოთქმულია მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ჯგუფი დამატებით ფინანსურ რესურსით, რათა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფმა შეძლოს ვალდებულებების სრულად მომსახურება;

აქედან გამომდინარე, ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში ჯგუფი შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუნქციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები

პირვანდელი ღრებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
1 იანვარი 2023	11,978	309	5,075	11,241	9,204	440	38,247
შემოსვლა	-	129	93	339	1,186	68	1,815
გასვლა/ჩამოწერა	-	(67)	-	(17)	(168)	-	(252)
31 დეკემბერი 2023	11,978	371	5,168	11,563	10,222	508	39,810
შემოსვლა	-	2	636	1,721	1,198	33	3,590
გასვლა/ჩამოწერა	-	(62)	-	-	(23)	-	(85)
შეწყვეტილი ოპერაციები (შენიშვნა 20)	(11,776)	(311)	(4,697)	(6,725)	(6,204)	(387)	(30,100)
31 დეკემბერი 2024	202	-	1,107	6,559	5,193	154	13,215
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2023	-	-	(1,669)	(6,193)	(7,236)	(335)	(15,433)
ცვეთის ხარჯი	-	-	(267)	(834)	(783)	(36)	(1,920)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	14	143	-	157
31 დეკემბერი 2023	-	-	(1,936)	(7,013)	(7,876)	(371)	(17,196)
ცვეთის ხარჯი	-	-	(87)	(490)	(202)	(5)	(784)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	23	-	23
შეწყვეტილი ოპერაციები (შენიშვნა 20)	-	-	1,683	3,444	4,818	246	10,191
31 დეკემბერი 2024	-	-	(340)	(4,059)	(3,237)	(130)	(7,766)
საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2023	11,978	309	3,406	5,048	1,968	105	22,814
31 დეკემბერი 2023	11,978	371	3,232	4,550	2,346	137	22,614
31 დეკემბერი 2024	202	-	767	2,500	1,956	24	5,449

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

პირვანდელი ღირებულება	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
1 იანვარი 2023	893	22	915
შემოსვლა	249	20	269
გასვლა/ჩამოწერა	(18)	-	(18)
31 დეკემბერი 2023	1,124	42	1,166
შემოსვლა	1,389	-	1,389
გასვლა/ჩამოწერა	(432)	-	(432)
შეწყვეტილი ოპერაციები (შენიშვნა 20)	(438)	(30)	(468)
31 დეკემბერი 2024	1,643	12	1,655
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 იანვარი 2023	(586)	(9)	(595)
ამორტიზაციის ხარჯი	(273)	(3)	(276)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(859)	(12)	(871)
ამორტიზაციის ხარჯი	-	-	-
გასვლა	-	-	-
შეწყვეტილი ოპერაციები (შენიშვნა 20)	402	8	410
31 დეკემბერი 2024	(457)	(4)	(461)
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2023	307	13	320
31 დეკემბერი 2023	265	30	295
31 დეკემბერი 2024	1,186	8	1,194

ჯგუფი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას ქვიშა-ღორღის მოსაპოვებლად და კომპიუტერულ პროგრამებს ადმინისტრაციული საქმიანობისთვის.

2024 წელს ჯგუფმა შეიძინა ოთხი ახალი ლიცენზია ინერტული მასალების მოპოვებაზე ხაშურისა და ოზურგეთის რაიონებში.

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
ნედლეული და მასალები	503	1,986	1,290
მზა პროდუქცია	307	1,227	1,091
მარაგ-ნაწილები	-	1,260	1,704
სხვა	57	117	54
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	867	4,590	4,139
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(281)	(1,395)	(1,269)
სასაქონლო მატერიალური მარაგები შემცირებული	586	3,195	2,870
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე			

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
მოთხოვნა შვილობილი კომპანიის წილის რეალიზაციიდან	5,672	-	-
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	2,281	2,267	2,268
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,447	4,638	4,341
სხვა მოთხოვნები	293	290	174
სულ ფინანსური მოთხოვნები, ბრუტო	9,693	7,195	6,783
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(874)	(1,699)	(1,733)
სულ ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	8,819	5,496	5,050
გაცემული ავანსები	897	566	236
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	9,716	6,062	5,286

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შეფასების მიზნით ჯგუფმა გამოიყენა ჯგუფური გაუფასურების მეთოდი, რომელიც ეფუძნება ვადაგადაცილების ანალიზს.

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	სავაჭრო მოთხოვნები
1 იანვარი 2023	(1,733)
რეზერვის გამოყენება	34
31 დეკემბერი 2023	(1,699)
რეზერვის ზრდა	(53)
რეზერვის გასვლა	878
31 დეკემბერი 2024	(874)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
ფული ბანკში უცხოური ვალუტაში	2,157	-	-
ფული სალაროში	387	1,159	349
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	74	8,292	2,775
სულ	2,618	9,451	3,124

2024 და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ BB და B რეიტინგი.

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენს 32,497 ლარს და დაყოფილია 216,644 ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ფასი არის 0.15 ლარი.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელი კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა არ შეცვლილა, ინფორმაცია კომპანიის აქციონერების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

დივიდენდები

2024 წელს ჯგუფს არ გამოუცხადებია და გაუცია დივიდენდი (2023:186 ლარი).

არამაკონტროლებელი წილი

2024 წლის განმავლობაში, შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფის“ გასხვისების შედეგად, ჯგუფიდან გავიდა არამაკონტროლებელი წილი, რომლის ღირებულებაც გასხვისების თარიღისთვის შეადგენდა 13,469 ლარს. ეს ცვლილება ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებული კაპიტალიდან არამაკონტროლებელი წილის სრულ გასვლას.

საემისიო კაპიტალი/სახაზინო აქციების გამოსყიდვა

სს „კავკაზ ცემენტი“-მა 2018 წლის 26 დეკემბერს გამოისყიდა 14,428 ცალი ფასიანი ქაღალდი (აქცია), რაც შეადგენს აქციათა საერთო რაოდენობის 6,66%-ს, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,032 ლარი. 2022 წელს მშობელმა კომპანიამ დამატებით გამოისყიდა 9,030 ცალი ფასიანი ქაღალდი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,060 ლარი. აღნიშნული სახაზინო აქციები 2022 წელს სრულად რეალიზებულ იქნა შპს „ანოდან ჰოლდინგ ელ.ელ.სი.“-ზე. საემისიო კაპიტალში მოცემული თანხა წარმოადგენს სხვაობას სახაზინო აქციების ღირებულებასა და სარეალიზაციო ფასს შორის.

კაპიტალში კონტრიბუცია

სხვაობა დამფუძნებლისგან მიღებული სესხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, წარდგენილია როგორც კაპიტალში კონტრიბუცია.

12. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	დაფარვის თარიღი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები*	2035	აშშ დოლარი	8,418	20,031	19,186
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	2025	ლარი	-	2,836	4,237
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	2025	აშშ დოლარი	-	732	-
სულ			8,418	23,599	23,423

მიმდინარე წელს ჯგუფმა წინსწრებით დაფარა დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები 5,223 აშშ დოლარის ოდენობით.

მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხი სრულად წარმოადგენს დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხზე არსებულ გადასახდელ პროცენტს.

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,532	2,104	2,200
სახელფასო ვალდებულება	815	3,717	3,974
მიღებული ავანსები	67	264	184
სხვა	40	176	606
სულ	2,454	6,261	6,964

15. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024*	2023
შემოსავალი ინერტული მასალების რეალიზაციიდან	4,464	4,362
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	3,987	33,976
შემოსავალი ცემენტის რეალიზაციიდან	-	49,468
სხვა	208	1,905
სულ	8,659	89,711

*2024 წლის იანვარში ჯგუფმა გაასხვისა 60%-იანი წილი შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფში“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ცემენტისა და ბეტონის წარმოება, ასევე ინერტული მასალების მოპოვება, რომელიც გამოიყენებოდა აღნიშნულ წარმოებაში. წილის გასხვისების შემდეგ, ჯგუფმა ბეტონის წარმოება და რეალიზაცია განაგრძო შპს „კავკაზ ცემენტი ჯორჯიას“ მეშვეობით. ასევე, 2024 წელს ჯგუფმა მოიპოვა ლიცენზიები ინერტული მასალების მოპოვებაზე და დაიწყო მათი რეალიზაცია.

16. რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
რეალიზებული ბეტონის თვითღირებულება	(3,085)	(24,208)
ინერტული მასალების დანახარჯები/შემენა	(1,629)	(1,530)
გაცივებული საქონლის ტრანსპორტირება	(1,337)	(4,463)
ცვეთის ხარჯი	(766)	(1,980)
თანამშრომელთა სარგებელი	(185)	(1,900)
რეალიზებული ცემენტის თვითღირებულება	-	(36,441)
სხვა	(1,339)	(1,940)
სულ	(8,341)	(72,462)

საქონლის რეალიზაციისას უმეტეს შემთხვევაში ღირებულება ითვალისწინებს პროდუქციის ადგილზე მიწოდებას. ხშირ შემთხვევაში ვერ ხდება გაწეული მომსახურების ცალკე გამოყოფა და პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები წარდგენილია როგორც გაწეული მომსახურების თვითღირებულება.

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
თანამშრომელთა სარგებელი	(4,646)	(3,349)
საგადასახადო ხარჯი	(184)	(163)
საკონსულტაციო მომსახურება	(78)	(115)
დაზღვევის ხარჯი	(21)	(242)
ცვეთა და ამორტიზაცია	(18)	(84)
დაცვის ხარჯი	-	(56)
ავტო ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯი	-	(1,035)
სხვა	(722)	(693)
სულ	(5,669)	(5,737)

18. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარისაგან ნასესხებ სახსრებზე	(1,026)	(936)
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	(100)	(578)
სულ	(1,126)	(1,514)

19. საკურსო (ზარალი)/მოგება

საკურსო ზარალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
გრძელვადიანი სესხები	(287)	34
ფული და ფულის ეკვივალენტები	71	(27)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	233	26
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	(22)
სულ	17	11

20. წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან

შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფის“ გასხვისება

2025 წლის 15 იანვარს, ჯგუფმა გაასხვისა შვილობილი კომპანია შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფ“-ის 60%-იანი წილი. ამ ტრანზაქციის შედეგად, ჯგუფმა მიიღო კომპენსაცია 12,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.

გასხვისებული აქტივებისა და ვალდებულებების მთავარი კატეგორიები, გასხვისებული შვილობილი საწარმოსთვის ასე გამოიყურება:

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან (გაგრძელება)		ლარი
აქტივები		
ძირითადი საშუალებები		19,909
სასაქონლო მატერიალური მარაგები		2,743
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,139
ფული და ფულის ეკვივალენტები		5,597
სხვა აქტივები		58
სულ აქტივები		31,446
მიმდინარე ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულება		(282)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(1,338)
სულ ვალდებულებები		(1,620)
გასხვისებული წმინდა აქტივები		29,826
არამაკონტროლებელი წილი		(13,469)
ჯგუფის წილი წმინდა აქტივებში		16,357
მიღებული საზღაური		35,057
გასხვისებიდან მიღებული მოგება		18,700

21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
კავშირის სახე				
მიღებული სესხები	ბენეფიციარი მესაკუთრე	8,418	20,031	19,186
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ბენეფიციარი მესაკუთრე	2,281	2,267	2,268

ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება		კავშირის სახე	2024	2023
ფინანსური ხარჯი		ბენეფიციარი მესაკუთრე	(1,026)	(936)
ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან			2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები			1,118	1,371

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ შეიცვალა ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა. ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

აქციონერი	წილი
შპს "ანოდაინ ჰოლდინგ ელ.ელ.სი."	60.00%
ბიბილეიშვილი ანდრო	20.00%
როდმიენკო პოლ	6.65%
სულავა ზვიად	5.00%
ბალიაშვილი ტატა	5.00%
ხუნწარია ირაკლი	3.34%
დენის კარლ პრაისი	0.0015%
სულ	100.00%

სს “კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს “კავკაზ ცემენტი”

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს “კავკაზ ცემენტი” და მისი შვილობილი კომპანია (შემდგომში „ჯგუფი“) არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, რომლებიც დაარსებულნი არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარებით სს “კავკაზ ცემენტის” აქციონერები არიან:

აქციონერები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
შპს "ანოდინ ჰოლდინგ ელ.ელ.სი."	77.51%	77.51%	87.07%
ბიბილეიშვილი ანდრო	12.50%	12.50%	0.39%
როდზიანკო პოლ	6.65%	6.65%	1.56%
ხუნწარია ირაკლი	3.34%	3.34%	3.34%
დენის კარლ პრაისი	0.0015%	0.0015%	0.0015%
სს კავკაზ ცემენტი (სახაზინო აქციები)	-	-	6.66%
ტაბატაძე ნიკა	-	-	0.49%
ტაბატაძე სოფიო	-	-	0.49%
სულ	100.00%	100.00%	100.00%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „კავკაზ ცემენტის“ დირექტორი იყო ანდრო ბიბილეიშვილი.

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

მშობელ კომპანიას ინვესტიციების მართვის გარდა 2024 წლის განმავლობაში სხვა საქმიანობა არ განუხორციელებია.

2024 წლის იანვარში ჯგუფმა გაასხვისა 60%-იანი წილი შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფში“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ცემენტისა და ბეტონის წარმოება, ასევე ინერტული მასალების მოპოვება, რომელიც გამოიყენებოდა აღნიშნულ წარმოებაში. წილის გასხვისების შემდეგ, ჯგუფმა ბეტონის წარმოება და რეალიზაცია განაგრძო შპს „კავკაზ ცემენტ ჯორჯიას“ მეშვეობით. ასევე, 2024 წელს ჯგუფმა მოიპოვა ლიცენზიები ინერტული მასალების მოპოვებაზე და დაიწყო მათი რეალიზაცია საბითუმო და საცალო მოვაჭრეებზე.

ჯგუფის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2024	2023
შემოსავალი ინერტული მასალების რეალიზაციიდან	4,464	4,362
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	3,987	33,976
შემოსავალი ცემენტის რეალიზაციიდან	-	49,468
სხვა	208	1,905
სულ	8,659	89,711

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

მიმდინარე წელს ჯგუფიდან გავიდა მნიშვნელოვანი კომპონენტი შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფი“.

ჯგუფის გაყიდვების ნაწილს შეადგენს ბეტონის და ინერტული მასალების რეალიზაცია.

ბაზარზე ჯგუფი ბეტონის რეალიზაციას ახორციელებს როგორც საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით, ასევე სხვა კომპანიებისგან ლოჯისტიკური მომსახურების შესყიდვით.

ჯგუფი ეწევა მიწოდების, პომპისა და ბეტონის ჩასხმის მომსახურებას, აღნიშნული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი რეალიზაციის 2%-ს.

ჯგუფის სტრუქტურა.

მშობელი კომპანიის გენერალური დირექტორი 2023 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ანდრო ბიბილეიშვილი. წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

სს „კავკაზ ცემენტი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2024	2023
შპს ჯორჯიან ბილდინგ გროუფ*	ცემენტისა და ბეტონის წარმოება/რეალიზაცია	-	60%
შპს კავკაზ ცემენტი ჯორჯია	ბეტონის წარმოება და ინერტული მასალების ამოღება/რეალიზაცია	100%	100%
შპს სურამის ქვიშა	უმოქმედო	100%	100%
შპს კავკაზ ცემენტი ვესტ	უმოქმედო	16.74%	16.74%
შპს თბილცემენტი	უმოქმედო	61.8%	61.8%

2025 წლის 15 იანვარს, ჯგუფმა გაასხვისა შვილობილი კომპანია შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფ“-ის 60%-იანი წილი. ამ ტრანზაქციის შედეგად, ჯგუფმა მიიღო კომპენსაცია 12,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის შემოსავალმა შეადგინა 8,659 ლარი, რაც 2023 წელთან შედარებით 90%-ით შემცირებულია. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია შპს ჯორჯიან ბილდინგ გროუფ*-ის ჯგუფიდან გასვლით.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2024	2023
სულ ამონაგები	8,659	89,711
სულ აქტივები	19,563	41,621
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	63	160
გროს მარჟა	4%	19%
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick ratio)	4.41	2.03
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	4.62	2.45
მარაგების ბრუნვა (დღე)	25.64	16.09
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	107.39	31.54
დებიტორების ბრუნვა (დღე)	409.56	24.66

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 60-დან 65-მდე. ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამკირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიანი სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ბეტონის წარმოებისთვის ძირითადი კომპონენტია ცემენტი, რომლის უმსხვილესი მომწოდებელია საქართველოში შპს „ჰაიდელბერგცემენტი ჯორჯია“. ჯგუფი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აღნიშნულ მომწოდებელზე, თუმცა ეს ფაქტი არ წარმოადგენს ჯგუფისთვის არსებით რისკს, ვინაიდან შესაძლებელია ცემენტის შეძენა სხვა ადგილობრივი მომწოდებლებისგანაც.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

სს “კავკაზ ცემენტი”

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება, არსებული მომხმარებლების კმაყოფილებაზე ზრუნვა და ჯგუფის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ტექნოლოგიური სიახლეებისა და ბაზრის არსებული კონიუქტურის გათვალისწინება.

ჯგუფის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

ჯგუფი მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს მომხმარებელთა ახალი სეგმენტის მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

ფინანსური ანგარიშგების არე	2024	2023	შენიშვნა
ამონაგები რეალიზაციიდან	8,659	89,711	შენიშვნა 1
რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(8,341)	(72,462)	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

მიმდინარე წელს ამონაგები შემცირდა დაახლოებით 90%-ით რაც გამოწვეულია მნიშვნელოვანი კომპონენტის ჯგუფიდან გასვლით, ამავე დროს გაიზარდა შვილობილი კომპანიის შპს „კავკაზ ცემენტ ჯორჯიას“ ამონაგები.

მიმდინარე წელს ჯგუფის შემოსავალი ფორმირებულია ბეტონის და ინერტული მასალების რეალიზაციიდან.

შენიშვნა #2:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ბეტონის ნედლეულისა და წარმოების ხარჯებს. გაყიდული საქონლის ტრანსპორტირების ხარჯს, თანამშრომელთა სარგებელს, ცვეთის ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია წარმოების პროცესისთვის. რეალიზაციის შემცირების შესაბამისად შემცირებულია რეალიზებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულებაც.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,695	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141	8,210
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	101.1	2,5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	966.3	1,595
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია ჯგუფი არსებული კლიენტებისთვის. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და ჯგუფის შესაბამის პოლიტიკაზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 18 ნოემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი
დირექტორი

ზვიად სულავა
ფინანსური დირექტორი

სს "კავკაზ ცემენტი"

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,695	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141	8,210
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	101.1	2.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	966.3	1,595
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია ჯგუფი არსებული კლიენტებისთვის. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და ჯგუფის შესაბამის პოლიტიკაზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.


საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.


კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 18 ნოემბერს:


ანდრო ზიბიძე
დირექტორი


ზვიად სულავა
ფინანსური დირექტორი